Email: info@heraldoflaw.com

THE IMPORTANCE OF USING MEDIATION IN BUSINESS DISPUTES DURING A PANDEMIC

Mikheil Bichia

Doctor of Law, Invited Lecturer at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Chief Researcher at the Research Institute for Economic and Social Problems of Globalization, Higher Education Accreditation Expert

Email: bichiamichael@yahoo.com

ABSTRACT

In the conditions of the pandemic, the timely settlement of business disputes, which is achieved with the help of mediation, became especially important.

The aim of the study is to determine the importance of the institution of mediation in the context of the spread of the coronavirus and the overload of business dispute cases in the courts. The issue is interesting given the legislative changes in mediation.

Research has shown that mediation has become particularly attractive to businesses during the spread of the coronavirus. This was due to the following features: Unlike litigation, mediation is faster, cheaper, calmer and more effective process focused on the interests of the parties. Mediation confidentiality is aimed at protecting confidential data and maintaining the ongoing relationship between the parties, as well as strengthening the parties' trust in mediation.

By European standards, Georgia has created a new reality. In 2020, a new law on mediation came into force, which has already been successfully used by several businesses and resolved ongoing disputes over the years.

However, the use of remote mediation has become urgent in the face of the threat of the spread of the coronavirus. Procrastination in litigation during a pandemic can have major negative economic consequences for businesses. Therefore, in terms of prevention of negative effects and timely review of disputes, it is advisable to use a tool of mediation.

KEYWORDS: Coronavirus, Mediation, Litigation

შესავალი

კორონავირუსის გავრცელების შედეგად მსოფლიოში შეიქმნა ახალი რეალობა, რომელიც პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას ვერ გაუთანაბრდება. საქმე ისაა, რომ კორონავირუსმა თითოეული ადამიანის ცხოვრების წესი და ყოფითი ურთიერთობა შეცვალა. ამ პირობებში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა წარმოშობილი ბიზნესდავების სწრაფად გადაწყვეტამ, მით უმეტეს, რომ პანდემიის გამო სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურებამ პერმანენტული ხასიათი მიიღო. შესაბამისად, გასარკვევია, რა ეკონომიკური ეფექტი ჰქონდა პანდემიას ბიზნესსუბიექტების საქმიანობაზე და როგორი იყო სასამართლოებში საქმეების გადატვირთულობის როლი ამ პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის მიზანია, დადგინდეს, ერთი მხრივ, კორონავირუსის გავრცელების ეკონომიკური და სამართლებრივი შედეგები, მეორე მხრივ კი, მედიაციის როლი ბიზნესდავების გადაწყვეტის საქმეში.

მართალია, დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი გავრცელებული გზაა სასამართლოში საქმის განხილვა, მაგრამ მას, გარდა დადებითი ასპექტებისა, გარკვეული უარყოფითი მხარეებიც აქვს. ამ კონტექსტში დასადგენია, რითია მედიაციის ინსტიტუტი გამორჩეული სასამართლოში საქმის განხილვისგან და როგორია მედიაციის მნიშვნელობა. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, განისაზღვროს, რა სპეციფიკით ხასიათდება ბიზნესდავების განხილვა სასამართლოსა და მედიაციაში, როგორია მათი უპირატესობები თუ უარყოფითი მხარეები, მით უფრო, პანდემიის დროს. პრობლემა კიდევ უფრო საყურადღებოა მაშინ, როდესაც გასათვალისწინებელია, რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნესდავების დროული განხილვა როგორც მძიმე ეკონომიკური იურიდიული შედეგების თავიდან აცილების, ისე მართლმსაჯულების მიზნებისთვის. აქვე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორია სტატისტიკური მონაცემები პანდემიის დროს მედიაციის ფარგლებში განხილული საქმეების, განსაკუთრებით კი, ბიზნესდავების შესახებ.

საკითხი განსაკუთრებით საინტერესოა მედიაციაში ფიდუციური ურთიერთობის დაცვის თავისებურებებისა და ახალი საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით. ამ კონტექსტში კარგი იქნება, განისაზღვროს, როგორი ეფექტი აქვს გატარებულ რეფორმებს მედიაციის სფეროში, რამდენად სათანადოდაა გაანალიზებული მედიაციის გავრცელების მასშტაბები თუ მიზნები და რა როლს ითამაშებს ის ბიზნესდავების გადაწყვეტის პროცესში.

1. პანდემიის შედეგების მოკლე მიმოხილვა

პანდემიის შედეგად საზოგადოებრივი ურთიერთობები მსოფლიოში არსებითად შეიცვალა. ცვლილებები და შეზღუდვები შეეხო ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, განსაკუთრებით ბიზნესს. შეზღუდვების შედეგად ძალიან დაზარალდა სასტუმროს ბიზნესი, სატრანსპორტო და დასვენების, ტურიზმისა და სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზების ინდუსტრია.[1] მაგალითად, პანდემიის გამო აშშ-ში ბიზნესის სხვადასხვა სექტორის 43% დაიხურა გარკვეული დროით. პანდემიას შოკური ეფექტი ჰქონდა შედარებით პატარა საწარმოებისთვის, რომლებსაც პანდემიამდე ცოტა ფული ჰქონდათ. დადგინდა, რომ მათ მოუწევდათ ან ხარჯების მკვეთრად შემცირება, ან დამატებითი სესხის აღება, ან თავის გაკოტრებულად გამოცხადება.[2] ამასთან, მართალია, ეს შეზღუდვები ადამიანთა ცხოვრებაზე უარყოფითი ზეგავლენის შეჩერების ძლიერი ინსტრუმენტი იყო, მაგრამ, ამავე დროს, პანდემიის შედეგად სამართლებრივი სისტემებიც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, კერძოდ, კონტრაქტები შეწყდა, სასამართლო მომსახურებანი შეჩერდა და სხვა.[3]

ამასთან, დადგინდა, რომ, თუ საქმიანობის შეჩერება გაგრძელდა, ვერ იქნება სერიოზული უარყოფითი ეკონომიკური შედეგები თავიდან აცილებული. საქმიანობის შეჩერების შედეგად იზრდება გაკოტრების ფაქტები და სამსახურის დაკარგვის შემთხვევები. სიმდიდრის დაკარგვა შეეხო ადამიანთა ფართო სპექტრს, არადა დაზარალებულთა უმეტესობას აქვს მხოლოდ შეზღუდული რეზერვი. ამასთან, თავს იჩენს

[1] იხ. Die Nationale Akademie der Wissenschaften Leopoldina, 2020. Dritte Ad-hoc-Stellungnahme: Coronavirus-Pandemie _ Die Krise nachhaltig überwinden. 13. April, გვ. 15.

[2] იხ. Bartik, A.W. and others, 2020. The impact of COVID-19 on small business outcomes and expectations. Proceedings of the National Academy of Sciences, 117 (30), გვ. 17666. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://doi.org/10.1073/pnas.2006991117> [წვდომის თარიღი 4 მაისი 2021].

[3] Boon, G.-J. and others, 2020. The Covid-19 Pandemic and Business Law: A Series of Posts from the Oxford Business Law Blog. Oxford Legal Studies Research Paper, 15, გვ. 2.

კორონავირუსის პანდემიის დროს სოციალური უთანასწორობაც. კონტაქტის და დაინფიცირების რისკი, შემდეგ კი კრიზისის ფსიქოლოგიური და ეკონომიკური შედეგები არათანაზომიერად ნაწილდება საზოგადოების სხვადასხვა წევრზე.[4] შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ბიზნესდავის დროულად და სწრაფად გადაწყვეტას, რათა უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. ამ კუთხით შესასწავლია მედიაციის ინსტიტუტის მნიშვნელობა.

2. მედიაციის ინსტიტუტის ძირითადი მიზანი

ზოგადად, მედიაცია არის დავის გადაწყვეტის არასასამართლო პროცესი, რომელშიც ნეიტრალური მესამე მხარე (მედიატორი) ეხმარება მოდავე მხარეებს მათ მიერ ნებაყოფლობით და მკაცრად კონფიდენციალური მოლაპარაკებების წარმოებაში. მედიაციის დროს საქმის განხილვა ატარებს არაფორმალურ ხასიათს და კონკრეტული შედეგის მიღწევაც დამოკიდებულია მხოლოდ მხარეებზე. მედიატორმა ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უნდა დაიცვას როგორც სამართლიანობა, ისე დამოუკიდებლობა.[5]

„მედიაციის შესახებ" კანონპროექტის თანახმად, საქართველოშიც მედიაციის ინსტიტუტის განვითარება და გაძლიერება სამოქალაქო დავებზე სასამართლოს განტვირთვის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ჩაითვალა. მართალია, მედიაცია ვერ ჩაანაცვლებს დავის გადაწყვეტას სასამართლოს ან არბიტრაჟის დახმარებით, მაგრამ ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს, გაზრდის მართლმსაჯულების ეფექტიანობას და მაქსიმალურად განტვირთავს სასამართლო სისტემას ისეთი საქმეებისგან, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. ხაზგასმით გამოიკვეთა მედიაციის დადებითი ფაქტორებიც: მედიაცია ხელს უწყობს დავების ურთიერთშეთანხმებით, სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებას. გარდა ამისა, მედიაციის პროცესი მოქნილია, კერძოდ, მისი გამოყენება შეიძლება დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან (სასამართლო, არბიტრაჟი) ერთად, რაც წარმოაჩენს საერთო მიზნის მიღწევისთვის მედიაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.[6]

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმებით საქართველომ იკისრა ვალდებულება, განევითარებინა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, მათ შორის მედიაცია და არბიტრაჟი, ასევე, შეექმნა ამ მექანიზმების გამოყენებისთვის ხელსაყრელი პირობები. „მედიაციის შესახებ" კანონის მიღების ძირითადი მიზანი იყო სწორედ მოცემული მოთხოვნის უზრუნველყოფა. ამდენად, 2020 წლის პირველ იანვარს ძალაში შევიდა „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც გაჩნდა კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის ახალი საშუალება. ეს კანონი გამოიყენება მედიაციის შესახებ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმართული მედიაციისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსკ-ის) XXI[1] თავით გათვალისწინებული სასამართლო მედიაციის დროს, კოდექსის სპეციფიკური თავისებურებების დაცვით. ამასთან, კანონის წესები არ მოქმედებს „ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი" გათვალისწინებული მედიაციის დროს. ეს განპირობებულია საქმის თავისებურებებით, რაც დარეგულირებულია შესაბამისი კანონმდებლობით.[7]

ამასთან, თუ არსებობს მხარეთა თანხმობა, კანონით დაიშვება მედიაციის გავრცელება ნებისმიერი კატეგორიის დავის მიმართ და საქმის მედიატორისთვის გადაცემა განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. კანონმდებლობით ცალკეა განსაზღვრული სავალდებულო მედიაცია საოჯახო (გარდა შვილად აყვანისა და მშობელთა უფლებებთან დაკავშირებული საქმეებისა), სამემკვიდრეო და სამეზობლო დავების მიმართ.[8]

---

[4] Die Nationale Akademie der Wissenschaften Leopoldina, 2020. Dritte Ad-hoc-Stellungnahme: Coronavirus-Pandemie _ Die Krise nachhaltig überwinden. 13. April, გვ. 15.

[5] იხ. Gullo, A., 2006. Mediation unter der Herrschaft des Rechts? Berlin: Rhombos-Verlag, გვ. 25.

[6] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ". რეგისტრაციის N07-2/319/9.

[7] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ". რეგისტრაციის N07-2/319/9.

[8] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსსკ-ის) 187[3] - ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „ბ" პუნქტები. პარლამენტის უწყებანი 14/11/1997, N1106.

3. სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებები მედიაციასა და სასამართლოში

პანდემიის გავრცელების პირობებში საყურადღებოა სასამართლოსა და მედიაციის ფარგლებში საქმის განხილვის თავისებურებების გამიჯვნა, რაც სხვადასხვა წესს ეფუძნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მედიაციის პროცესის სპეციფიკის გამოკვეთა, რათა მისი მნიშვნელობა დადგინდეს.

მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს შორის სასამართლოსთან შედარებით არაფორმალური[9] და დავის მოქნილი, არასავალდებულო გადაწყვეტის პროცესია, რომლის დროსაც ნეიტრალური მესამე მხარე (მედიატორი) ეხმარება ორ ან მეტ მოდავეს, მიაღწიონ მათ შორის არსებული დავის ნებაყოფლობით გადაწყვეტას მოლაპარაკების გზით.[10] მედიაციის დროს გამოიყენება გარკვეული „ძირითადი წესები", რომლებიც ჩვეულებრივ მოქმედებს ყვირილის, მხარეთა მიერ თანაბარი დროის გამოყენების ხელშეშლისა და სხვა ხელმყოფი მოქმედებების საწინააღმდეგოდ. თუმცა საკვანძო საკითხია ის, რომ მედიაციის ე.წ. „ძირითადი წესებით" არ არიან მხარეები შეზღუდულნი იმასთან დაკავშირებით, რასაც მედიაციის დროს მნიშვნელობა აქვს. მოცემულ შემთხვევაში არაა დაწესებული პროცედურული შეზღუდვები, რის გამოც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თვითონვე განსაზღვრონ რას აქვს მნიშვნელობა მათი მიზნების მისაღწევად. ამ კონტექსტში „ძირითადი წესები" სასამართლო განხილვებისთვის დადგენილი საპროცესო ნორმები კი არაა, არამედ არაფორმალურად შემუშავებული წესების ერთობლიობა.[11] შესაბამისად, მოდავე მხარეებს შორის მოლაპარაკებების წარმოებისას მედიაცია ეფუძნება მხარეთა საერთო ინტერესს და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტას.[12] თუმცა მხარეები, როგორც პროცესის მთავარი ფიგურანტები, ღებულობენ დავის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას და აყალიბებენ მათ შორის არსებული დავის რეგულირების პირობებს. მედიაცია შემუშავებულია იმისათვის, რომ დაეხმაროს მხარეებს, გაარკვიონ ძირითადი მოტივი ან ინტერესი. ამიტომ მედიაცია განიხილება პროცესად, რომელიც დაფუძნებულია მხარეთა ინტერესებზე და არა უფლებებზე.[13]

რაც შეეხება მოსამართლეს, ის იღებს სავალდებულო სახით გადაწყვეტილებას, მედიაციის შემთხვევაში არაა სავალდებულო საბოლოო შეთანხმების მიღწევა, მაგრამ შეთანხმების მიღწევისას ეს შედეგი ორივე მხარის ინტერესებს პასუხობს და, ამავე დროს, ეს მხარეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა.[14] მედიატორი ეხმარება მხარეებს იმაში, რომ, ერთი მხრივ, შეიმუშავონ მისაღები შედეგები და გადაწყვეტილებები, მეორე მხრივ კი, შეისწავლონ მათთვის მისაღები მიზნის მიღწევის გზები. თუმცა მოლაპარაკებისთვის შექმნილი გარემო მედიაციაში პოზიტიურ ხასიათს ატარებს. მხარეები მოტივირებულნი არიან, მიაღწიონ საკუთარ მიზანს. შესაბამისად, გამოსავლის ძიებაზე დაფუძნებული მოდელი ეხმარება მხარეებსა და მედიატორს, შექმნან თავიანთი „საუკეთესო მომავალი".[15]

საქმე ისაა, რომ მედიაციის დროს მედიატორი იყენებს სხვადასხვა უნარსა და მეთოდს, რათა დაეხმაროს მხარეებს შეთანხმების მიღწევაში, მაგრამ მას არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამ პროცესში მხარეები რჩებიან პირებად, რომლებიც ღებულობენ დავის მოწესრიგების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას.[16]

კანონით აღიარებულია სასამართლო მედიაცია და კერძო მედიაცია. სასამართლო მედიაცია წარიმართება სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ, თუ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლომ საქმე მედიატორს გადასცა („მედიაციის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის „ბ" პუნქტი). კანონით სასამართლო მედიაციის ვადა არის 45 დღე, თუმცა უნდა მოიცავდეს სულ მცირე ორ შეხვედრას.

---

9 იხ. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5.th edition, London: Cavendish Publishing, გვ. 95.

10 Rozdeiczer, L. and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. გვ. 5.

11 Rubinson, R., 2010. Mapping the World: Facts and Meaning in Adjuction and Mediation. Maine Law Review, 63 (1), გვ. 80.

12 იხ. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5.th edition, London: Cavendish Publishing, გვ. 95 - 96.

13 Rozdeiczer, L. and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. გვ. 5.

14 ყანდაშვილი, ი., 2017. მედიაცია - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 116.

15 Bannink, F. P., 2007. Solution-Focused Mediation: The Future with a Difference. Conflict Resolution Quarterly, 25 (2), გვ. 181, DOI: 10.1002/crq.

16 Rozdeiczer, L. and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. გვ. 5.

ამასთან, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს იმავე ვადით მხოლოდ მხარეთა შეთანხმების არსებობისას.[17] ვადა კიდევ უფრო აქტუალურია პანდემიის გავრცელების პირობებში. საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ, წლები გრძელდება სასამართლოში საქმის განხილვა, მეორე მხრივ კი, კორონავირუსით გამოწვეული მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ საქმე ზეპირი განხილვის გარეშე ვერ წყდება, სასამართლო უმეტესწილად საქმის განხილვის გადადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამართალწარმოების გაჭიანურებას და, ამავე დროს, მხარეთა შორის არსებულ დაძაბულ ფონს არ აქარწყლებს, რადგან საქმის განხილვის გადავადებით დავის გადაწყვეტაც გარკვეული ვადით ხანგრძლივდება.

პანდემიის პირობებში უმეტესწილად მოგებაც მცირდება და ბიზნესსუბიექტისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ წარმოშობილი დავა მოაგვაროს შედარებით ნაკლები ხარჯებით. მაგალითად, სახელმწიფო ბაჟი სასამართლო მედიაციის დროს არის დავის საგნის ღირებულების 1%, თუმცა ის უნდა იყოს მინიმუმ 50 ლარი. თუ დავა შეთანხმებით არ დასრულდა, საქმის სასამართლოში წარმოების განახლების დროს მოსარჩელემ დამატებით უნდა წარადგინოს დავის საგნის ღირებულების 2%-ის, მაგრამ სულ მცირე 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.[18] ამასთან, თუ სასამართლო მედიაცია დასრულდა მხარეთა შეთანხმებით, კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.[19]

რაც შეეხება კერძო მედიაციას, ის მხარეთა ინიციატივით ხორციელდება მედიაციის შესახებ შეთანხმების საფუძველზე იმის გარეშე, რომ სასამართლომ საქმე მედიატორს გადასცეს („მედიაციის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის „ბ" და „გ" პუნქტები). ამდენად, კერძო მედიაცია მაქსიმალურად დისპოზიციურ ხასიათს ატარებს. აქვე საგულისხმოა, რომ 2019 წლის სექტემბრიდან საკანონმდებლო ცვლილების შედეგად „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი კერძო მედიაციის დაწყება ჩაითვალა ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ერთ-ერთ საფუძვლად (სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის g^1 პუნქტი). შესაბამისად, კერძო მედიაციის დაწყების მომენტიდან ჩერდება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა („მედიაციის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი).

მედიაციის პროცესი შეიძლება წარმართოს ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა. მხარეები შეთანხმებით განსაზღვრავენ, ვინ უნდა იყოს მედიატორი (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა) („მედიაციის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები). მედიაციის პროცესი გამოირჩევა თავისი პრინციპებით, რომლებიც მის ძირითად არსს განსაზღვრავს. ამ პრინციპებს განეკუთვნება: ნებაყოფლობითობა, მედიატორის მიუკერძოებლობა და დამოუკიდელობა, მხარეების მიერ პროცესის გაკონტროლება და კონფიდენციალობის დაცვა.[20] საქმე ისაა, რომ მედიატორისთვის დაუშვებელია მიკერძოება. ამასთან, მედიატორთა ქცევის მოდელური სტანდარტებით მედიატორს ენიჭება უფლება, უარი თქვას პროცესში მონაწილეობაზე და ნებისმიერ ეტაპზე პროცესიდან გავიდეს მაშინ, როცა იქმნება მედიატორის მიერ მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე.[21] აქვე კანონით მედიაციის დროს გასათვალისწინებელია თვითგამორკვევის, კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის პრინციპები („მედიაციის შესახებ" კანონის მე-3 მუხლი).

დღევანდელი საკანონმდებლო მდგომარეობის მიხედვით, მედიაციას აქვს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც: ა) აუცილებელია მოდავე სუბიექტთა კომუნიკაცია და დავის მოგვარების ნება; ბ) არაკეთილსინდისიერმა მხარემ შეიძლება მედიაცია გამოიყენოს, როგორც დავის გაჭიანურების საშუალება.[22] მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე "Egan v. Motor Services (Bath) LTD" დავა ეხებოდა ნივთობრივად ნაკლული მანქანის შეძენას და, ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობების მიუხედავად, მყიდველი უკმაყოფილო რჩებოდა, რამაც განაპირობა ხარჯების გაზრდა და დავის გაჭიანურება. სახელდობრ, დავის ფასი შეადგენდა 6 000 ფუნტ სტერლინგს, ხოლო მხარეებმა სასამართლო განხილვისას დახარჯეს 100 000 ფუნტი სერტლინგი.[23] ეს ის შემთხვევაა, როცა მედიაციის

[17] სსსკ-ის 187^5 -ე მუხლი. პარლამენტის უწყებანი 14/11/1997, N1106.

[18] სსსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „$ა^3$" პუნქტი, პარლამენტის უწყებანი 14/11/1997, N1106.

[19] სსსკ-ის 49-ე მუხლის მე-2^1 ნაწილი, პარლამენტის უწყებანი 14/11/1997, N1106.

[20] იხ. Dursun, A. L., 2017. The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidentiality In Commercial Mediation. Afro Eurasian Studies Journal, 6 (1&2), Spring & Fall, გვ. 18-19.

[21] იხ. ჩიტაშვილი, ნ., 2016. მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები. სამართლის ჟურნალი, 1, გვ. 32.

[22] ცერცვაძე, გ., 2010. მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა). თბილისი: მერიდიანი, გვ. 42.

[23] Egan v Motor Services (Bath) Ltd [2007] EWCA Civ 1002.

დროს მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ამიტომ საქმის განხილვა სასამართლოში გაგრძელდა; გ) უარყოფითად ფასდება, როცა მედიაციის პროცესი ზედმეტად დაწვრილებით არის დარეგულირებული. ამით ფაქტობრივად მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, კარგავს იმ ლავირებად ხასიათს, რაც მას განასხვავებს სამართლებრივ ფარგლებში მოქცეულ სასამართლო განხილვისა და დავის გადაწყვეტის ნებისმიერი სხვა ალტერნატიული ფორმისგან; დ) მედიაციის დამკვიდრებამ შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების „პრივატიზაცია" და მართლმსაჯულება კერძო პირებმა განახორციელონ, რაც სამართლის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის. თუმცა ეს ალბათ უფრო ჰიპოთეტური ხასიათის მოსაზრებაა და მედიაციის თაობაზე ნაკლები ინფორმირებულობით შეიძლება აიხსნას;[24] ე) ამასთან, ცალკე შეიძლება გამოიყოს ის, რომ მედიაცია აფერხებს სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, მედიაცია რამდენიმე საყურადღებო პოზიტიური ასპექტით ხასიათდება, რის გამოც მედიაციისადმი დაინტერესება უფრო და უფრო ზრდადი ხდება. მიზანშეწონილია ამ დეტალების გაანალიზება:

სასამართლო პროცესის დროს მოსამართლე საქმის ბედს წყვეტს ერთპიროვნულად. მედიაციის შემთხვევაში მოიაზრება კომუნიკაცია, რომელსაც უძღვება მესამე ნეიტრალური პირი (მედიატორი).[25] მედიატორი ეხმარება მოდავე მხარეებს მათ შორის წარმოშობილი უთანხმობის მოგვარებაში. სასამართლოსთან შედარებით, მედიატორი არ ფლობს უფლებამოსილებას, მხარეებს გადაწყვეტილება დააკისროს, მას შეუძლია ამ პროცესის მხოლოდ ხელშეწყობა, ფასილიტაცია.[26] ამდენად, მედიატორი მოქმედებს როგორც ფასილიტატორი.[27] ჩვეულებრივი სასამართლო პროცესებისგან განსხვავებით, მედიაციის დროს მხარეებს აქვთ კომუნიკაცია იმ მოლოდინის გარეშე, რომ მათ შემდგომ ისევ ექნებათ ერთმანეთთან კავშირი. ასეთი მოლაპარაკებებისას მიღებული ინფორმაციის გამოყენების შედეგად შეიძლება უსამართლოდ დადგეს ზიანი. მედიატორს ევალება, იყოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი და არ უნდა დაიცვას რომელიმე მხარის ინტერესები. მედიაცია განიხილება მხარის უმთავრეს მოტივატორად, რადგან სურს, დავა მშვიდად და გასაჯაროების გარეშე დაარეგულიროს. ასევე, მედიატორი და მედიაციის პროგრამა ხელყოფისგან დაცვას ემსახურება.[28] მედიატორის ზეგავლენის შესაძლებლობები შეიძლება ფართო იყო, ამიტომ მან ისე უნდა განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები, რომ მედიაციის პროცესზე გავლენა არ მოახდინოს. აქედან გამომდინარე, მედიატორის ნეიტრალიტეტით შეიძლება აიხსნას მისი პასიური როლი. ამიტომ მედიატორი, რომელიც მოდერატორის ფუნქციას ასრულებს, ცდილობს, დაიცვას ბალანსი მოლაპარაკებების წარმოებისას და ამ პროცესის შინაარსზე არ მოახდინოს ზეგავლენა, თუმცა ასეთი პასიურობა არ გულისხმობს, რომ მედიატორს არ მოუწევს აქტიური მოქმედებების შესრულება. მედიატორი ხელმძღვანელობს მედიაციის პროცესს და პასუხისმგებელია ამ პროცესის სათანადოდ წარმართვაზე, რაც გარკვეულწილად გამოწვევაცაა.[29]

ასევე, სასამართლო პროცესისგან განსხვავებით, მედიაციის გამოყენება შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ საქმის სასამართლო წესით განხილვა ატარებს სტრესულ, ძვირადღირებულ და არაპროგნოზირებად ხასიათს. რაც შეეხება მედიაციას, ის მიიჩნევა დავის გადაწყვეტის გაცილებით იაფ და ქმედით საშუალებად.[30] სასამართლო პროცესების ხანგრძლივად წარმართვა ქმნის მხარეთათვის სტრესულ გარემოს. ასევე, მედიაციის დროს არ გვხვდება სასამართლო ხარჯები და, კონფიდენციალობის პრინციპის გათვალისწინებით, მედიაცია მხარეთათვის მიიჩნევა დავის განხილვის მომხიბლავ ალტერ-ნატიულ საშუალებად.[31]

სასამართლოში საქმის განხილვა

[24] ყანდაშვილი, ი., 2017. მედიაცია - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 54.

[25] ცერცვაძე, გ., 2010. მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა). თბილისი: მერიდიანი, გვ. 26-28.

[26] Riskin, L. L., 1982. Mediation and Lawyers. Ohio State Law Journal, 43, გვ. 29.

[27] Rubinson, R., 2010. Mapping the World: Facts and Meaning in Adjuction and Mediation. Maine Law Review, 63 (1), გვ. 79.

[28] იხ. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, გვ. 37- 38.

[29] იხ. Gullo, A., 2006. Mediation unter der Herrschaft des Rechts? Berlin: Rhombos -Verlag, გვ. 11-12.

[30] იხ. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი გვ. 13, 60, 100.

[31] იხ. Foster, T. N. and Prentice, S., 2009. The Promise of Confidentiality in Mediation: Practitioners' Perceptions. Journal of Dispute Resolution, გვ. 1.

ძირითადად საჯაროა, მედიაციის პროცესი კი საიდუმლო ხასიათს ატარებს[32] და წარიმართება კონფიდენციალობის მაქსიმალური დაცვით. ამასთან, სასამართლოში ყველა მტკიცებულება საჯაროდ გამოქვეყნებას მოითხოვს.[33] სწორედ ეს ასპექტი ბიზნესკომპანიებს უბიძგებს, მიმართონ დავის გადაწყვეტას მედიაციის გზით, რადგან ხანგრძლივმა და გახმაურებულმა სასამართლო პროცესებმა შეიძლება მათი ინტერესები ხელყოს.[34]

თუ სასამართლო ორგანოები გარკვეულწილად ვერდიქტებს გამოსცემენ, მედიატორები მიისწრაფვიან შეთანხმების მიღწევისკენ. მედიატორის ინსტრუმენტია რეალური პოზიციებისა და ინტერესების გამოვლენა, სასამართლო კი ეძებს ფაქტებს.[35] ამასთან მედიატორი აქცენტს აკეთებს მხარეთა ურთიერთობის პოზიტიურ ასპექტებზე, ეს კი უზრუნველყოფს მხარეთა შორის არსებული დაძაბულობის ჩაცხრობას. ასევე, დახურული სხდომის დროს მედიატორი თითოეულ მხარეს ცალკე, კონფიდენციალურად ხვდება. შესაძლოა, მხარეებს არ უნდოდეთ ყველა მონაწილის თანდასწრებით გულახდილობა, თუმცა მედიაციის პროცესი ხშირად მოიცავს მხარეთა პირდაპირობას. დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად ან ალტერნატივების გამოსაკვლევად მედიატორს შეიძლება დასჭირდეს უშუალოდ მხარეებთან ცალკე შეხვედრა. ასეთი შეხვედრების პოზიტიურ მხარედ შეიძლება განიხილებოდეს ისიც, რომ მხარეს აძლევს საშუალებას, მოეშვას, დამშვიდდეს და აიცილოს სამომავლოდ ურთიერთობის დაძაბვა. ასევე უშუალოდ მხარეებთან ცალკე შეხვედრამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს ერთი მხარის მიერ მეორის მიმართ მანიპულაციის განხორციელებას.[36]

მედიაციის ამოცანაა, მხარეებს შორის მიმდინარე ურთიერთობები შეინარჩუნოს. მედიაციისგან განსხვავებით, სასამართლო პროცესში მხარე თავისი პოზიციის დასაბუთებისას ცდილობს, გააბათილოს და უარყოს მეორე მხარის მოთხოვნები, რათა დაასაბუთოს მათი უსაფუძვლობა. მედიაციის პროცესის კონფიდენციალობა მხარეებს უქმნის ისეთ გარემოს, რომ მათ შეძლონ ობიექტურად საკუთარი პოზიციისთვის არასასურველი მომენტების შეფასება და მოლაპარაკების წარმოება პოზიტიური მოლოდინით. სასამართლოში საქმის განხილვის დროს უმეტესწილად მხარეთა შორის ურთიერთობა დაძაბულია, ატარებს სტრესულ და უარყოფით ხასიათს.[37]

4. მედიაციის პროცესის კონფიდენციალობა

„მედიაციის შესახებ“ კანონით მედიაციის ერთ-ერთ უმთავრესი პრინციპია კონფიდენციალობა, რომლის თანახმად, მედიაციის პროცესი არის კონფიდენციალური, ხოლო მედიაციის მონაწილეებმა უნდა დაიცვან ინფორმაცია, რომელიც მათ გაიგეს მედიაციის პროცესში, ან ძირითადად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან. კანონით განისაზღვრა, რომ კონფიდენციალობის დაცვის ეს კანონისმიერი ვალდებულება გრძელდება უშუალოდ მედიაციის დასრულების შემდგომაც, თუ ეს მხარეებსა და მედიატორს შორის წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ დარეგულირდა („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი).[38]

კონფიდენციალობა ფაქტობრივად ხელს უწყობს მხარეებს, რომ ერთმანეთს შორის ინფორმაცია გაცვალონ, პრობლემები მოაგვარონ და მოლაპარაკებების წარმოებაც მათ ინტერესებს დააფუძნონ.[39] ამ დროს მედიატორი მხარეებს აცნობს კონფიდენციალობის დაცვის პირობებსა და საფუძვლებს. მედიაციის კონფიდენციალობა იწვევს და განამტკიცებს ნდობას მხარეებსა და მედიატორებს შორის. როცა მედიაციის დროს მიწოდებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა არაა მეორე მხარისა და მედიატორის მიერ დაცული, ეს განაპირობებს მედიაციის პროცესის ეფექტიანობის ხარისხის შემცირებას.[40]

---

32 Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, გვ. 5.

33 Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, გვ. 45.

34 Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, p. 5.

35 Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, გვ. 45.

36 დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი, გვ. 209, 224.

37 Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, გვ. 4 - 5.

38 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“. რეგისტრაციის N07-2/319/9.

39 Callahan, R., 2012. Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending? Perpperdine Dispute Resolution Law Journal, 12, გვ. 96.

40 Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, გვ. 3.

კონფიდენციალურობა მხარეებს სთავაზობს მოლაპარაკების გასაიდუმლოებულ სივრცეს.[41] ამის წყალობით საქმის ყველა არსებითი გარემოება განიხილება გულღიად და საფუძვლიანად. მხარეები მსჯელობენ და ლაღად ამხელენ ინფორმაციას, ვინაიდან სწამთ, რომ მედიაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია არ იქნება მათ წინააღმდეგ გამოყენებული.[42]

კონფიდენციალობა ბევრისთვის არის სტიმული, აირჩიონ მედიაცია, მაგალითად, კომერციული საიდუმლოების დაცვის დროს. მედიაცია მხარის უპირველესი მოტივატორია, რადგან სურს, დავა მშვიდად და გასაჯაროების გარეშე მოაწესრიგოს.[43]

გარდა ამისა, სწორედ კონფიდენციალობა არის ინსტრუმენტი, რომელიც მედიატორის მიუკერძოებლობის რწმენას აძლიერებს. მიუხედავად ნდობაზე დაფუძნებული გარემოს არსებობისა, მედიატორი არ უნდა მიემხროს რომელიმე მხარეს და უნდა იყოს ნეიტრალური.[44] შესაბამისად, მედიაციის პროცესის აუცილებელი ელემენტებია კონფიდენციალობისა და ნეიტრალურობის დაცვა.[45]

მხარეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება კონფიდენციალობის დაცვა კომერციულ ურთიერთობებში. თუ მესამე პირმა იცის, რომ მხარეებს აქვთ სერიოზული საქმიანი ურთიერთობები და მათ შორის დავაა განსაკუთრებით დიდ თანხაზე, კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით შეიძლება ბაზარზე მათი რეპუტაციის ხელყოფა და საქმიანი ურთიერთობებისთვის ვნების მიყენება. ასევე, შესაძლოა, ორივე მხარეს არ უნდოდეს გარკვეული საიდუმლო მონაცემების გასაჯაროვება. ზოგჯერ კონფიდენციალობის დაცვის პრინციპი განიხილება მედიაციის წარმოების უმნიშვნელოვანეს უპირატესობად.[46] ამ შემთხვევაში შეიძლება მხარეებმა მათთვის არასასურველი ან პოტენციური საფრთხის შემცველი ინფორმაცია გაამჟღავნონ. ამდენად, მოცემულ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვა.[47]

გარდა ამისა, კონფიდენციალობა მხარეებს უქმნის სამართლიანობის უზრუნველყოფის შეგრძნებას. მედიაციის პროცესში განსახილველ საკითხთა ნუსხა იმაზე მეტია, ვიდრე ეს სასამართლოში საქმის განხილვისას გვხვდება.[48] მედიაციის პროცესში გადასაცემი მონაცემები შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ ინფორმაციას. შესაბამისად, შესაძლოა, მედიაციის დროს კომუნიკაციას მოჰყვეს პირადი თუ ძალიან მგრძნობიარე მონაცემების გამჟღავნება, მაგრამ მათი დამუშავებისას უნდა იყოს კანონით დადგენილი წესები მკაცრად დაცული, ხოლო ზიანის მიყენებისას - ზიანი ანაზღაურებული.[49] ეს ყველაფერი, ცხადია, უფრო ზრდის გამჟღავნებული ინფორმაციის გამოყენების საფრთხეს მხარეთათვის ზიანის მიყენების მიზნით. თუმცა აქ გასათვალისწინებელია კონფიდენციალობა, რომლის წყალობითაც დავის მონაწილეებს არ აქვთ მედიაციის პროცესში გაცხადებული ინფორმაციის მეორე მხარის საწინააღმდეგოდ გამოყენების უფლება. ეს ქმნის მხარეთა შორის ინტერაქციული მოლაპარაკებების წარმოების შედარებით უსაფრთხო პირობებს.[50]

---

41 Zhao, Y. and Koo, A.K.C., 2011. The Development of Legal Protection for Mediation Confidentiality in Hog Kong. Common Law World Review, გვ. 264. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comlwr40&div=17&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [წვდომის თარიღი 11 თებერვალი 2021].

42 Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, American Journal of Trial Advocacy, 19, გვ. 412. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [წვდომის თარიღი 12 აპრილი 2021].

43 Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution. 2, გვ. 37 - 38.

44 Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. American Journal of Trial Advocacy, 19, გვ. 415. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [წვდომის თარიღი 12 აპრილი 2021].

45 In re Marriage of Anna and Maciej Kieturakis, California Appeal Court 4th, 2006.

46 Dursun, A. L., 2017. The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidentiality In Commercial Mediation. Afro Eurasian Studies Journal, 6 (1&2), Spring & Fall, გვ. 28.

47 დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი. 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში. თბილისი: გვ. 31- 32.

48 Brown, K. L., 1991. Confidentiality in Mediation: Status and Implications. Journal of Dispute Resolution, 2, გვ. 310-311. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: < https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1991/iss2/3/ > [წვდომის თარიღი 10 მაისი 2021].

49 იხ. ბიჭია, მ., 2017. პერსონალური მონაცემების კერძოსამართლებრივი დაცვის პრობლემა ინტერნეტსამყაროში. VIII საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კომუნიკაციის კონფერენციის „ინტერნეტი და საზოგადოება“ მასალები, 7- 8 ივლისი, 2017, ქუთაისი: გვ. 36-41.

50 Brown, K.L., 1991. Confidentiality in Mediation: Status and Implications. Journal of Dispute Resolution“, 2, გვ. 4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1991/iss2/3/> [წვდომის თარიღი10 მაისი 2021].

ამდენად, მედიაციის მონაწილეებს აქვთ მათი კომუნიკაციის კონფიდენციალობის დაცვის მოლოდინი. თუ მათ ამის რწმენა არ ექნებათ, ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ მხარეთა მონაწილეობა იქნება შედეგიანი.[51]

თუმცა კონფიდენციალურობის პრივილეგიასაც აქვს გამონაკლისები,[52] კერძოდ, არაერთი მედიაციის აქტით განსაზღვრულია კონფიდენციალობის შეზღუდვის დასაშვებობა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოკვეთილია სერიოზული ფიზიკური ძალადობისა და ხელყოფის საფრთხე.[53] მედიაციის უნიფიცირებული აქტის თანახმად, მედიატორს ენიჭება უფლება, დაარღვიოს კონფიდენციალობა, თუ ეს ემსახურება მკვლელობის ან სხვა სერიოზული საფრთხის პრევენციას. თუმცა არის შემთხვევები, როცა ინფორმაციის გამჟღავნება სავალდებულო ხასიათს იძენს. ასეთია, მაგალითად, ბავშვზე ძალადობის ან სპეფიციკური და გარდაუვალი საფრთხის არსებობა.[54]

საქართველოს კანონმდებლობაში 2020 წლამდე სხვა სურათი იყო, კერძოდ, არ იყო ასახული კონფიდენციალობის დაცვის შეზღუდვის შემთხვევები, თუმცა ისინი დადგენილი იყო ევროპულ დირექტივაში.[55] შემდგომ საქართველომ ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, კანონით აღიარა მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის შეზღუდვის საგამონაკლისო შემთხვევებიც. სახელდობრ, კონფიდენციალობის შეზღუდვა შეიძლება, თუ ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან თავისუფლება არის დასაცავი, ანდა დღის წესრიგში დგას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის აუცილებლობის საკითხი. ამასთან, კონფიდენციალობა შეიძლება შეიზღუდოს მაშინ, როცა: ინფორმაცია უნდა იყოს წარდგენილი სამედიაციო მორიგების მიღწევის ფაქტის დასამტკიცებლად, თუ მეორე მხარემ სადავოდ აქცია ან უარყო ეს ფაქტი; ასევე, ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვის და სხვა. თუმცა მოცემულ შემთხვევაში ინფორმაცია მაქსიმალურად შეზღუდული მოცულობით უნდა იყოს გამჟღავნებული, რის თაობაზეც შესაბამის მხარეს წინასწარ ეცნობება. გასათვალისწინებელია სხვა მოთხოვნაც, კერძოდ, ამ საგამონაკლისო შემთხვევებში ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით იმგვარად, რომ ინფორმაციის კონფიდენციალობა მაქსიმალურად იყოს დაცული გარეშე პირებისაგან.[56]

5. მედიაციით განხილულ საქმეთა სტატისტიკა და დისტანციური მედიაცია

დღესდღეობით სასამართლო ხშირად სთავაზობს მხარეებს დავის მედიაციის გზით გადაწყვეტის საშუალებას. ამას ადასტურებს მედიაციის ფარგლებში საქმეთა განხილვის შესახებ არსებული პრაქტიკა. საქმე ისაა, რომ 2021 წლის აპრილის მონაცემების მიხედვით, 2013 წლიდან 2021 წლის 15 აპრილამდე სასამართლო მედიაციაში განხილული იყო 337 საქმე. მათგან ნაწილი ეხებოდა სანივთო, ვალდებულებით, საოჯახო, მემკვიდრეობისა და პირადი უფლებების დაცვას:[57]

[51] Gray, O. V., 1998. Protecting the Confidentiality of Communications in Mediation. Osgoode Hall Law Journal, 36, november 4, გვ. 668.

[52] Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. American Journal of Trial Advocacy, 19, გვ. 426-427. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [წვდომის თარიღი 12 აპრილი 2021].

[53] Kirtley, A., 1995. The Mediation Privilege's Transition from Theory to Implementation: Designing a Mediation Privilage Standard to Protect Mediation Participants, the Process and the Public Interest. Journal of Dispute Resolution, No1 გვ. 48.

[54] Burnley, R. and Lascelles, G., 2004. Mediator Confidentiality – Conduct and Communications, Arbitration. The International Journal of Arbitration, Mediation and Dispute Management, 70(1), გვ. 8.

[55] წულაძე, ა., 2016. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 132-133.

[56] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ", რეგისტრაციის N07-2/319/9; „მედიაციის შესახებ" კანონი.

[57] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის პასუხი მედიაციის ცენტრის მიერ განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემების შესახებ N2-0434/4553058.

სასამართლო მედიაციაში განხილული საქმეები									
დავის კატეგორია	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.
სანივთოსამართლებრივი დავა	1	10	14	5	8	10	4	6	2
ვალდებულებითსამ. (სასესხო, მიკროსაფინანსო/ საბანკო) დავა	1	1	1	10	30	22	10	61	25
საოჯახო დავა	1	2	8	7	10	14	4	3	0
სამემკვიდრეო დავა	0	0	4	2	2	3	7	3	2
შრომითი დავა	0	0	0	0	1	2	4	27	6
პატივის, ღირსების და სხვა პირადი სიკეთის შელახვის შესახებ	0	0	0	0	0	0	2	2	0
სულ	3	13	27	24	51	51	31	21	35
საერთო ჯამი – 337 საქმე									

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, სასამართლო მედიაციით განხილული 337 საქმიდან 75-80% (სულ 261 საქმე) ბიზნესდავებზე მოდის. ამასთან, მედიაციის ფარგლებში განხილული 337 საქმიდან 70%-მდეა მორიგების მაჩვენებელი. მედიაცია განსაკუთრებული წარმატებით გამოირჩევა კომერციული, მიკროსაფინანსო და შრომითი დავების გადაწყვეტისას. 2020 წლის აგვისტომდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებისას[58] იკვეთება, რომ პანდემიის პირობებში 2020 წლის აგვისტოდან 2021 წლის აპრილამდე (ანუ 7-8 თვეში) მედიაციით განხილული იყო დაახლოებით 100-მდე ბიზნესდავა და მზარდია მედიაციით დაინტერესება, არადა წინა წლებში ასეთი დინამიკა არ იყო გამოკვეთილი. შესაბამისად, ბიზნესის წარმომადგენლებისთვის უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება მედიაციის გზით დავის გადაწყვეტა.

ამჟამად მსოფლიოში ურთიერთობები განვითარდა და წინა პლანზე იწევს დისტანციური მედიაცია. ფაქტობრივად ონლაინმედიაცია აღიარებულ იქნა, როგორც ელექტრონული ვაჭრობის გლობალურ ბაზარზე დავის გადაწყვეტის სამართლიანი, ეფექტიანი, მოქმედი, ხელსაყრელი და იაფი საშუალება.[59]

პანდემიის პირობებში აქტუალურია ონლაინმედიაცია. კიბერსივრცეში მედიაციის გამოყენებასთან დაკავშირებით დაახლოებით ოცი წლის წინ დაისვა საკითხი იმაზე, თუ რამდენად მზად ვიყავით დავის დისტანციურად გადაწყვეტისთვის. მე-20 საუკუნის მიწურულს მსჯელობა ეხებოდა ამ საშუალების გამოყენებისას გარკვეული საფრთხეების არსებობას; მიუთითებდნენ, რომ დიდი ყურადღება იყო გასამახვილებელი იმ საკითხებზე, რომლებიც უკავშირდებოდა კომუნიკაციას, კომპიუტერული რესურსების ასიმეტრიასა და მედიატორის როლს მანამ, ვიდრე მედიატორები ეცდებიან, გადაწყვიტონ დავა ონლაინრეჟიმში მულტიპარტიულ (მრავალი პირის) წრეში.[60] დღესდღეობით, კორონავირუსის გავრცელების პირობებში, ქართულ რეალობაშიც გაჩნდა ონლაინმედიაციის გამოყენების მექანიზმი და წესები.[61] კარგი იქნება, თუ ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში მეტი ყურადღება მიექცევა დისტანციური მედიაციის განვითარებას.

დასკვნა

კვლევით დადგინდა, რომ პანდემიის პირობებში მედიაციამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. დავების გადაწყვეტისთვის მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების ეფექტიანობა განაპირობებულია იმით, რომ მედიაციის პროცესში შეთანხმების მიღწევისას მაქსიმალურად გათვალისწინებულია მხარეთა ინტერესები.

კორონავირუსის გავრცელების დროს მედიაცია

[58] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 აგვისტოს პასუხი მედიაციის ცენტრის მიერ განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემების თაობაზე N3920129.

[59] Lavi, D., 2016. Three is not a Crowd: Online Mediation-Arbitration in Busines to consumer Internet Disputes. U. Pa. J. Int'l L., 37(3), გვ. 940.

[60] Eisen, B. J., 1998. Are we ready for Mediation in Cyberspace? Brigham Young University Law Review, გვ. 1305-1307.

[61] საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი. 2020. „ონლაინ" (დისტანციური) მედიაციისა და ფასილიტაციის პროტოკოლი. თბილისი, გვ. 1-6.

განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა ბიზნესისთვის. ეს შეიძლება აიხსნას იმ ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებით, რომლებითაც იმიჯნება სასამართლოსა და მედიაციაში საქმის განხილვა: მედიაცია არაა დროში გაწელილი. სასამართლოში საქმის განხილვასთან შედარებით, ის არის იაფი, მშვიდი და ეფექტიანი პროცესი. თუ სასამართლოში დავის დროს მხარეებს შორის ურთიერთობა დაძაბულია, მედიაციის კონფიდენციალობა უზრუნველყოფს მხარეთა შორის მიმდინარე ურთიერთობის შენარჩუნებას. ეს ყველაფერი არსებითია ბიზნესში ჩართული მოდავე მხარეებისთვის პანდემიის დროს, რადგან ისედაც დიდია შეზღუდვების ნეგატიური ეკონომიკური ეფექტები, ხოლო სამეწარმეო საქმიანობის მშვიდად და ქმედითად წარმართვა მიიღწევა მედიაციის დროს დავების ოპტიმალურად სწრაფ ვადებსა და არასტრესულ პირობებში გადაწყვეტით.

მართალია, დასახელებული გარემოებები შესაძლოა, შეეხოს მხარეთა მიერ სხვადასხვა სახის საიდუმლო ინფორმაციის გაცემას, მაგრამ მხარეებს აქვთ მოლოდინი, რომ მედიაციის პროცესში გაცემული ინფორმაცია არ იქნება ხელმისაწვდომი სხვებისთვის. კონფიდენციალობის დაცვა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, რომელიც აძლიერებს და ზრდის მხარეთა ნდობას მედიაციის მიმართ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ბიზნესსუბიექტებისთვის, რათა მათი კომერციული საიდუმლოება სათანადოდ იყოს დაცული. ამასთან, მედიაციის დროს როგორც ინდივიდუალური შეხვედრების, ისე კონფიდენციალობის დახმარებით შესაძლებელია მხარეებს შორის ურთიერთობის დაძაბვის პრევენცია და პრობლემის გადაწყვეტის გზების მოძიება.

ამდენად, სწორედ მედიაციის მოქნილი ხასიათისა და პროცესის კონფიდენციალობის გამო ხდება მომხიბვლელი ეს ინსტიტუტი ბიზნესში ჩართული სუბიექტებისთვის, მით უფრო პანდემიის პირობებში.

ასევე, პანდემია უარყოფითად აისახება ბიზნეს-სექტორზე, რადგან მას თან სდევს ნეგატიური ეკონომიკური ეფექტი. პრობლემა კიდევ უფრო რთულ ხასიათს იძენს დღეს, როცა პანდემიის პირობებში სასამართლო პროცესები ჭიანურდება, ან ზოგიერთი სამეწარმეო საქმიანობა ჩერდება. ამ დროს დავების გახანგრძლივებულად განხილვა პირდაპირპროპორციულად იწვევს ბიზნესში ჩართული სხვადასხვა სუბიექტის მოგების ძლიერ შემცირებას, ხარჯების გაზრდას. ამასთან, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ამოქმედებული შეზღუდვები განაპირობებს ბიზნეს სუბიექტთა სამეწარმეო საქმიანობის დროებით შეჩერებას ან საერთოდ დახურვას. შესაბამისად, ნეგატიური ეკონომიკური ეფექტის პრევენციისთვის ბიზნესდავები უნდა გადაწყდეს უსწრაფეს ვადებში და ნაკლები დანახარჯებით, რაც მიიღწევა მედიაციის გზით.

ამასთან, დადგინდა, რომ საქართველომ გაითვალისწინა ევროპული გამოცდილება და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რასაც მოჰყვა „მედიაციის შესახებ“ ახალი კანონის მიღება. კანონში აისახა მედიაციის პროცესის კონფიდენციალობა და მისი შეზღუდვის საგამონაკლისო შემთხვევები; შეზღუდვაც კონკრეტული ლეგიტიმური ინტერესის მეტი მნიშვნელობით უნდა იყოს განპირობებული. ასეთ შემთხვევებში მონაცემების გამჟღავნება დაიშვება მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით ისე, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს ინფორმაციის კონფიდენციალობა გარეშე პირებისგან (გან-მარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მედიაციის შესახებ“, რეგისტრაციის N07-2/319/9; „მედიაციის შესახებ“ კანონი). როგორც კვლევამ აჩვენა, მედიაციით უკვე რამდენიმე ბიზნესსუბიექტმა წარმატებით ისარგებლა და წლების განმავლობაში მიმდინარე დავები მოაგვარა. სტატისტიკური მონაცემებიდანაც ცხადია, რომ პანდემიის დროს ბიზნესსუბიექტთა ნდობა საგრძნობლად გაზრდილია მედიაციის მიმართ. მედიაციის გზით განხილულ საქმეთა შორის ბიზნესდავების ხვედრითი წილი 80%-მდეა. ამდენად, კომერციული დავების გადაწყვეტის საქმეში განსაკუთრებით დიდია მედიაციის როლი და მნიშვნელობა.

გარდა ამისა, აქტუალური ხდება ონლაინ-მედიაცია, განსაკუთრებით კორონავირუსის გავ-რცელების საფრთხეების პირობებში. ამიტომ მიზანშეწონილია დისტანციური მედიაციის მექანიზმების დახვეწა და მათი დადებითი მხარეების ეფექტიანად გამოყენება. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, პანდემიით განპირობებული ნეგატიური ეკონომიკური თუ სამართლებრივი შედეგების მინიმუმამდე დაყვანას, მეორე მხრივ კი, მომავალში პანდემიის ან სხვა საფრთხეების დროს დავის უსწრაფესად და ქმედითად გადაწყვეტას.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიჭია, მ., 2020. კონფიდენციალობის დაცვის სამართლებრივი რეჟიმი მედიაციის პროცესში და მისი მნიშვნელობა. სამართალი და მსოფლიო, 2 (15), გვ. 188 - 206.
2. გურიელი, ა., 2020. მედიაციის ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნება, მისი კონცეპტუალური მახასიათებლები და მისი გავლენა მოსამართლის როლზე მედიაციის წარმართვის პროცესში. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება - წელიწდეული. სპეციალური გამოცემა, გვ. 203 - 211.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (სსკ), პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, N786-II ს.
2. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ" პარლამენტის უწყებანი, 18/09/2019, N4954-I ს.

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Bichia, M., 2020. Legal Regime of Confidentiality Protection in the Mediation Process and its Meaning. Law and World. 15 (2), pp. 188 - 206. (in Georgian)
2. Gurieli, A., 2020. The Legal Nature of the Mediation Institute, its Conceptual Characteristics and Their Impact on the Judge's Role in Conducting Mediation. Journal of Alternative Dispute Resolution - Annual, Special Issue, pp. 203-211. (in Georgian)

Normative Materials:

1. Civil Code of Georgia (CCG). Parliamentary Gazette, 26/06/1997, N786-IIs. (in Georgian)
2. Law of Georgia on Mediation. Parliamentary Gazette, 18/09/2019, N4954-Is. (in Georgian)

REFERENCES:

1. Die Nationale Akademie der Wissenschaften Leopoldina. 2020. Dritte Ad-hoc-Stellungnahme: Coronavirus-Pandemie - Die Krise nachhaltig überwinden. 13. April, S. 15. (in German)
2. Bartik, A.W. and others, 2020. The impact of COVID-19 on small business outcomes and expectations. Proceedings of the National Academy of Sciences, 117 (30), p. 17666. [Online] Available at: <https://doi.org/10.1073/pnas.2006991117> [Accessed 4 May 2021]. (in English)
3. Boon, G. J. and others, 2020. The Covid-19 Pandemic and Business Law: A Series of Posts from the Oxford Business Law Blog. Oxford Legal Studies Research Paper, 15, pp. 2. (in English)
4. Die Nationale Akademie der Wissenschaften Leopoldina. 2020. Dritte Ad-hoc-Stellungnahme: Coronavirus-Pandemie - Die Krise nachhaltig überwinden, 13. April, p. 15. (in German)
5. Gullo, A., 2006. Mediation unter der Herrschaft des Rechts? Berlin: Rhombos-Verlag, p. 25. (in German)
6. Explanatory card on the draft Law of Georgia on Mediation, 2019. September 18, N4954-I. (in Georgian)
7. Explanatory card on the draft law of Georgia "On Mediation". registration N07-2 / 319/9. (in Georgian)
8. Article 187³ (1), subparagraph "a" and "b", Civil Procedure Code of Georgia (CPCG), Parliamentary Gazette, 14/11/1997, N1106. (in Georgian)
9. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law. 5.th edition, London: Cavendish Publishing, p. 95. (in English)
10. Rozdeiczer, L., and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. p. 5. (in English)
11. Rubinson, R., 2010. Mapping the World: Facts and Meaning in Adjuction and Mediation. Maine Law Review, 63 (1), p. 80. (in English)
12. Kelly, D., Holmes, A. and Hayward, R., 2005. Business Law, 5. th edition, London: Cavendish Publishing, pp. 95 - 96. (in English)
13. Rozdeiczer, L., and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. p. 5. (in English)
14. Kandashvili, I., 2017. Mediation - a New Form of Alternative Dispute Resolution and the Perspective of Its Legislative Settlement in Georgia, Journal of

Law, 2, p. 116. (in Georgian)
15. Bannink, F. P., 2007. Solution-Focused Mediation: The Future with a Difference. Conflict Resolution Quarterly, 25 (2), p. 181, DOI: 10.1002/crq. (in English)
16. Rozdeiczer, L., and de la Campa, A. A., 2006. Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation. The World Bank Group. p. 5. (in English)
17. Article 187[5], CPCG, Parliamentary Gazette, 14/11/1997, N1106. (in Georgian)
18. Ibid. article 39 (1), "a"[3].
19. Ibid. article 49 (2[1]).
20. Dursun, A. L., 2017. The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidentiality In Commercial Mediation. Afro Eurasian Studies Journal, 6 (1&2), Spring & Fall, pp. 18 - 19. (in English)
21. Chitashvili, N., 2016. Framework for Regulation of Mediation Ethics and Targets of Ethical Binding, Journal of Law, 1, p. 32. (in Georgian)
22. Tsertsvadze, G., 2010. Mediation - Alternative Dispute Resolution Form (General Overview). Tbilisi: Meridiani, p. 42. (in Georgian)
23. Egan v Motor Services (Bath) Ltd [2007] EWCA Civ 1002. (in English)
24. Kandashvili, I., 2017. Mediation - a New Form of Alternative Dispute Resolution and the Perspective of Its Legislative Settlement in Georgia. Journal of Law, 2, p. 54. (in Georgian)
25. Tsertsvadze, G., 2010. Mediation - Alternative Dispute Resolution Form (General Overview). Tbilisi: Meridiani, pp. 26 - 28. (in Georgian)
26. Riskin, L. L., 1982. Mediation and Lawyers. Ohio State Law Journal, 43, p. 29. (in English)
27. Rubinson, R. 2010, Mapping the World: Facts and Meaning in Adjuction and Mediation. Maine Law Review, 63 (1), p. 79. (in English)
28. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, pp. 37- 38. (in English)
29. Gullo, A., 2006. Mediation unter der Herrschaft des Rechts? Berlin: Rhombos - Verlag, pp. 11-12. (in German)
30. National Center for Alternative Dispute Resolution. 2013. Perspectives on Legal Regulation of Mediation in Georgia. Tbilisi: pp. 13, 60, 100. (in Georgian)
31. Foster, T. N. and Prentice, S., 2009. The Promise of Confidentiality in Mediation: Practitioners' Perceptions. Journal of Dispute Resolution, p. 1. (in English)
32. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, p. 5. (in English)
33. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, p. 45. (in English)
34. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, p. 5. (in English)
35. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, p. 45. (in English)
36. National Center for Alternative Dispute Resolution. 2013. Perspectives on Legal Regulation of Mediation in Georgia. Tbilisi: pp. 209, 224. (in Georgian)
37. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, pp. 4 - 5. (in English)
38. Explanatory card on the draft law of Georgia "On Mediation". registration N07-2 / 319/9. (in Georgian)
39. Callahan, R., 2012. Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending? Perpperdine Dispute Resolution Law Journal, 12 (63), p. 96. (in English)
40. Wykoff, A., 2016. Mediation & Confidentiality. Bond University Student Law Review, 4, p. 3. (in English)
41. Zhao, Y. and Koo, A.K.C., 2011. The Development of Legal Protection for Mediation Confidentiality in Hog Kong. Common Law World Review, p. 264. [Online] Available at: <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comlwr40&div=17&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [Accessed 11 February 2021]. (in English)
42. Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. American Journal of Trial Advocacy, 19, p. 415. [Online] Available at: <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [Accessed 12 April 2021]. (in English)
43. Freedman, L. R. and Prigoff, M. L., 1986. Confidentiality in Mediation: The Need for Protection. Journal on Dispute Resolution, 2, pp. 37 - 38. (in English)
44. Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, American Journal of Trial Advocacy, 19, p. 412. [Online] Available at: <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [Accessed 12 April 2021]. (in English)
45. In re Marriage of Anna and Maciej Kieturakis, California Appeal Court 4th, 2006
46. Dursun, A. L., 2017. The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidentiality In Commercial Mediation. Afro Eurasian Studies Journal, 6 (1&2), Spring & Fall, p. 28. (in English)
47. National Center for Alternative Dispute Resolution. 2013. Perspectives on Legal Regulation of Mediation in Georgia. Tbilisi: pp. 31- 32. (in Georgian)

48. Brown, K. L., 1991. Confidentiality in Mediation: Status and Implications. Journal of Dispute Resolution. 2, p. 310-311. [Online] Available at: <https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1991/iss2/3/> [Accessed 10 may 2021]. (in English)
49. Bichia, M., 2017. The Problem of Civil Legal Protection of Personal Data in the Internet Universe, In: VIII Proceedings of the International Scientific-Practical Communication Conference "Internet and Society", July 7- 8, Kutaisi: pp. 36 - 41. (in Georgian)
50. Brown, K. L., 1991. Confidentiality in Mediation: Status and Implications. Journal of Dispute Resolution. 2, p. 310-311. [Online] Available at: < https://scholarship.law.missouri.edu/jdr/vol1991/iss2/3/> [Accessed 10 may 2021]. (in English)
51. Gray, O. V., 1998. Protecting the Confidentiality of Communications in Mediation. Osgoode Hall Law Journal, 36, november 4, p. 668. (in English)
52. Macturk, C. H., 1995. Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. American Journal of Trial Advocacy, 19, pp. 426-427. [Online] Available at: <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [Accessed 12 April 2021]. (in English)
53. Kirtley, A., 1995. The Mediation Privilege's Transition from Theory to Implementation: Designing a Mediation Privilage Standard to Protect Mediation Participants, the Process and the Public Interest. Journal of Dispute Resolution. p. 48. (in English)
54. Burnley, R. and Lascelles, G., 2004. Mediator Confidentiality – Conduct and Communications, Arbitration. The International Journal of Arbitration. Mediation and Dispute Management. 70 (1), p. 8. (in English)
55. Tsuladze, A., 2016. Georgian Model of Court Mediation in Euro-American Prism (Dissertation). Tbilisi: University Publishing, pp. 131- 132. (in Georgian)
56. Explanatory card on the draft law of Georgia "On Mediation". registration N07-2 / 319/9; Law of Georgia on Mediation, 2019. September 18, N4954-I. (in Georgian)
57. Tbilisi City Court, April 16, 2021 Response to the Statistical Data of Cases Reviewed by the Mediation Center N2-0434/45535058. (in Georgian)
58. Tbilisi City Court, August 11, 2020 Response to the Statistical Data of Cases Reviewed by the Mediation Center N3920129. (in Georgian)
59. Lavi, D., 2016. Three is not a Crowd: Online Mediation-Arbitration in Busines to consumer Internet Disputes. U. Pa. J. Int'l L., 37 (3), pp. 940. (in English)
60. Eisen, B. J., 1998. Are we ready for Mediation in Cyberspace? Brigham Young University Law Review, pp. 1305 - 1307. (in English)
61. Georgian International Arbitration Center. 2020. Online (Remote) Mediation and Facilitation Protocol. Tbilisi: pp. 1- 6. (in Georgian)